პრიზი გაუთამაშებელი დარჩა

მოსკოვი. “დინამოს” სტადიონი. 14 მაისი.

“დინამო” (მოსკოვი) – “დინამო” (თბილისი) 0:0.

მოსკოვი: პილგუი, ბასალაევი, ნიკულინი, კომაროვი, დოლბონოსოვი, ჟუკოვი, პეტრუშინი, მახოვიკოვი, პავლენკო, ბაიდაჩნი, ევრიუჟიხინი.

თბილისი: გაგოშიძე, ძოძუაშვილი, ჭელიძე, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, ებრალიძე, მ. მაჩაიძე, გ. მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი, ყიფიანი (ლ. ნოდია).

მსაჯი: ი. სერგიენკო (ხარკოვი).

გაფრთხილებული არიან ვ. კომაროვი და ვ. გუცაევი.

დუბლიორები – 2:0.

ორივე მეტოქე, საბჭოთა ფეხბურთის ორი ტრადიციული ლიდერი, წლევანდელ გათამაშებაში ერთობ არასახარბიელოდ თამაშობს. VI ტურისთვის დინამოელთა ორივე კოლექტივი ცხრილის მეორე ნახევარში იყო: მოსკოველები X, ხოლო თბილისელები ბოლო, XVI ადგილზე. ასეთ ვითარებაში გამარჯვებისთვის ბრძოლა უკიდურესად დაძაბული და შეუპოვარია ხოლმე.

მაგრამ ამჯერად მატჩმა შედარებით მშვიდობიანად ჩაიარა. თუ მხედველობაში მივიღებთ ამ ორი გუნდის შეხვედრათა ისტორიას, სტატისტიკას, რომელიც აშკარად მოწმობს მოსკოველთა დიდ უპირატესობას, 1 ქულა თბილისელთა მონაპოვრად უნდა ჩავთვალოთ.

სტუმრების შემადგენლობა ცხადყოფდა, რომ ისინი ძირითადად სწორედ ამ ქულისთვის იბრძოდნენ. დაცვა საფუძვლიანად იყო გამაგრებული, წინა ხაზზე კი მხოლოდ ორი თავდამსხმელი მოქმედებდა. პირველმა ტაიმმა თითქმის მთლიანად მინდვრის შუაგულში განვლო, სახიფათო მომენტები ნაკლებად იყო. შესვენების შემდეგ მოსკოველები შედარებით გააქტიურდნენ და დროის მეტი ნაწილი მოპირდაპირე ნახევარზე გაატარეს, თუმცა შედეგს მაინც ვერ მიაღწიეს.

დაწესებული იყო სპეციალური პრიზი მოთამაშისთვის, რომელიც პირველ გოლს გაიტანდა. მას მფლობელი არ გამოუჩნდა…

“ლელო”, 16 მაისი, 1974 წ.